№ 65
პარასკევი,
13 ნოემბერი
1909 წ.

# მომავალი

№ 65
პარასკევი,
13 ნოემბერი
1909 წ.

ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთი ღირს:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. **1 ნოემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 1 მ. 60 კ. თფილისს გარეთ 1მან. 80 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოკერ საღამოს 5 ს—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**

Тифлисъ, тип. „Шрома“, **Калистрату Конст. Цуладзе.**


## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. დაბარის ყოველ დღე გარდან **მოსიარულე ავათმყოფთათვის.**

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტერანის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ღამბაშიძე ვ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი ვ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**გურკო ბ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ძიძოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტოვი ვ. ვ.** შინაგანი. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 1—2.

**მელიძიშვილი ნ. ვ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10.

**სოგომელოვსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიქანაძე ი. ე.** დედაკაც. საბებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—35)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიაჯიანცისა (ტელეფონი 695)

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. ვ. მელიძიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქურქურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. ბ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის **50** კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—35)

წარმოდგენა 16. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 16.

**ხვირას**, 15 **ნოემბერს** 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველათ ახალი პიესა პ. ალექსიშვილის (პ. გოთუასი) განმათავისუფლებელ მოძრ. საქართველოში

## პარტიის კაცი?!

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: მ. მდივანი, ე. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარაძე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშელი, მგალობლიშვილი, კ. მესხი, ი. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, ი. ჟვიძე, შ. საფაროვი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 5 მ.-დე, პარტერი 2 მ. 60 კ. 60 კ.-დე, გალერეა 40 კ-დან 20 კ-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენათ: „სამგრელოს მთავარი ლევან“, „გიორგი მე-III“, „ქოჩრიანი ტოროლა“.

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

თფილისის სახალხო თეატრი

საოპერო ამხ. ანტონ ეიხენვალდის გამგეობით დღეს ვაჟთა მე-5 გიმნაზიის სასარგებლოთ 1) „**ლაკმე**“; 2) **ბალეტის დივერტისმენტი** მუსიკა ნ. ა. მიკლაშევსკისა. მონაწილეობენ ქ-ნნი: დე-ვოს-სობოლევა, ელაგინა, ოსსოვსკაია; ბ-ნნი: გალეცკი, კორჩმარევი, მოჩალოვი, პეცკოვი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. ხვალ სპეკტაკლი gala პირველათ განახლების შემდეგ **«ნერკნი»**. კვირას 15 ნოემბერს ორი სპეკტაკლი: დილით დაკლებულ ფასებში 20 კ.-დან **«ეგგენი ონეგინი»**. საღამოს **„ქორნეთილის ზარები“**. მზადდება წარმოსადგენათ პირველათ თფილისში **„ტალისი“**.

ქართული **ავლაბრის თეატრი** წარმოდგენა № 8.

**შაბათს**, 14 **ნოემბერს**, 1909 წ. ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## დ ა-ძ მ ა

ისტორიული დრამა 5 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ ქ-ნნი: რჩეულოვისა, მარგველაშვილი; ბ-ნნი: გელიკურაშვილი, გიორგაძე, მირველოვი, მაისურაძე, მამულაშვილი, სალაყაია, ქიზიყელი, ჩელტიძე, ჯიბლაძე და სხვ.

**დასაწყისი სადამოს 8 საათზე.** ✦ **ადგილების ფასი 10 კ.-დან 80 კ.-მდე.**

უმორჩილესათ ვთხოვთ საზოგადოებას, რომ თვით დაგვიხმაროთ წესიერების დაცვაში, სხვის ადგილზე ნურავინ დაჯდება, პატარა ბავშვებს თეატრში ნუ შემოიყვანენ და თეატრში სტვენა და აურ-ზაური აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრიდან გაყვანილ იქნება.

დირექცია **ამო ხარაზიანცი.**

## მკერვალი ქალი

ვდებულობ საკერავებს: ქალებისა და ბავშვების ტანისამოსს, აგრეთვე ყოველ ნაირ თუთრეულებს.

**ადრესი:** კირჩხინი ჰერეულოკი, № 2.

არც ერთ თამბაქოს ქარხანას არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ღირსებით ახლათ გამოშვებულ პაპიროსებს:

**მეგობრობა და ამხანაგი** | **20 ცალი 5 კაპეიკი**

**ყოველ დღე იყიდება 200.000 ცალი.**

იყიდება ყველგან.

**თამბაქოს ქარხანა** ნ. ი. ბოზარჯიანცისა შვილებით.

10—1

სახალხო სახლი.

ხვასკევს, 13 ნოემბერს, იხსნება მუსიკალური საზოგადოება, რომელიც დაარსდა სახალხო სახლში. შესდგება ჩაიკოვსკის სახსოვრათ

## კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი დანიელოვა, მინკევიჩი, მარცინკევიჩი, ნაგასარიანი, ნიგოლაევა, სამოილოვა, რომუშკინა; ბ.ბ. ბუნერვიჩი, ვალენსკი, ვართანოვი, კაცი, ხოდიევი, ტერ-დავიდოვი, ცხომელიძე, ბებუევი და სხ.

ხორი და ორკესტრი ხ. ხოდიევის და ვინჩენკოს დირიჟორობით.

კონცერტის წინ ბ. ტერ-დავიდოვი გაცნობს საზოგადოებას ამ ახლად მუსიკალური საზოგადოების დაარსების მიზანს.

მაქსიმალი წაიკითხავს ჩაიკოვსკის ბიოგრაფიას. დასწყისი სადამოს 8 სააათზე. ფასი 5 კაპ.-დან 8 კ.

**ადმინისტრატორი თ. დოლიძე.**

## ჭიათურაში

გაიხსნა რკინის გზის შკაფი, რომელსაც განაგებს

## ისიდორე შილაკაძე.

იქვე იყიდება ყველა ადგილობრივი და სატახტო ჟურნალ-გაზეთები, მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „მომავალ“-ზე და სხვადასხვა განცხადებები „მომავალ“-ში დასაბეჭდათ. (10—7)

**კბილის ექიმი**

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

## ავტომობილები

ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, **ლანდო, კარეტა, კალიასკა,** ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ საბირჟოთ.

**ტაქსი 5 ან 12 ადგილიანი** და სხვა და სხვა

მოგვმართოს შემდეგი ადრესით: „Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zürich».

რადგან ამ ცნობილ ფაბრიკაში ვმუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.

დამატებითი ცნობები «მომავალის» რედაქციაში. **ბენდიანიძე.** (10—9)

Съ 8 ноября въ Тифлисѣ выходитъ ежедневная общественно-политическая газета

## НАШЪ КРАЙ

Въ газетѣ принимаютъ участіе какъ мѣстныя литературныя силы, такъ и писатели-публицисты обѣихъ столицъ.

**подписная цѣна:** Въ годъ въ Тифлисѣ 7 руб. въ провинцію 8 руб. въ мѣсяцъ 75 к. **отдѣльный № 5 коп.**

Адресъ редакціи и конторы: Дворцовая № 6.

## გაძოცდილი მასწავლებელი.

ამზადებს და წვრთნის მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისათვის.

იკითხეთ „მომავალის“ რედაქციაში, რუსის ქუჩა 3. (10—26)

## ვლებავ თმას

დედაკაცისას და მამაკაცისას შავათ და მიხაკის ფერათ. ადრესი: რუსის ქ. № 3, ბინა 14, იკითხეთ ბუხრაძე. (5—5)

## ბათუმში

**გაზეთ „მომავალ“-ზე ხელის მოწერა მიიღება რკინის გზის შკაფის გამგე**

## გიორგი ახახარაძესთან.

**იგივე მიიღებს სხვადასხვა განცხადებებს გაზეთ „მომავალ“-ში დასაბეჭდათ.**

(10—7)

**კბილის ექიმი**

## ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დალმართი სახ. 15.

**კბილის ექიმი**

## რომანი შვილი—დვებუაძისა.

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.


### თფილისი, 13 ნოემბერი.

ორმოც წელიწადზე მეტია, რაც რუსეთში არსებობს ერობა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და დღეს ამ დაწესებულებათა დიდ მნიშვნელობაში ხალხის ეკონომიურ წარმატების და უფლების პატივის გრძნობის განვითარების საქმეში არავის ეპყრა აღარ ეპარვის. ჩვენში კი დღემდის ერობაც და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება ბიუროკრატიის მუდმივი წინააღმდეგობის გამო მოუხერხებელი გახდა. ბევრი იტყვის, რომ წინათ რუსეთში ყველაფერი დამოკიდებული იყო ბიუროკრატიის პირად სურვილზე და შეხედულებაზე; 1905 წლიდან 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ რუსეთის ცხოვრებაში ხომ ახალი სხივი შემოიჭრა სახალხო წარმომადგენლობის სახით, ყოვლათ მძლე ბიუროკრატიას მას შემდეგ ხომ ძალა დაკარგული უნდა ჰქონდეს და ხალხის წარმომადგენლები უნდა იყვენ მესვეურნი რუსეთის ცხოვრებისა! პირველი შეხედვით ეს ასე უნდა იყოს, მარა 3 ივნისის კანონმა ცხოვრებიდან წარმოშობილი ახალი დაწესებულება—სახელმწიფო დუმა ისეთ პირებს ჩაუგდო ხელში, რომ თვით ამ დაწესებულების სული და გული განიზომება ბიუროკრატიის ლტოლვილებით, ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. რასაკვირველია ეს არ შეეხება დუმის უმცირესობას, რომელიც მთავრობას მუდამ ებრძვის ხალხის უფლებების გამოსაგლეჯათ. დუმის უმრავლესობისდა ბიუროკრატიის სულისკვეთების ერთიგივეობაში უნდა ვეძიოთ იმის ახსნა, რომ დუმის კომისია ადგილობრივ სასამართლოს რეფორმის კითხვაში მომზრეა რეფორმა შეეხოს მხოლოდ რუსეთის 46 გუბერნიას და სრულიათ არ გავრცელდეს კავკასიაზე, ციმბირზე და სხვა განაპირა კუთხეებზე. მიზეზი? მიზეზი ისაა, რომ „კავკასია, კურსკის გუბერნია არაა“. რუსეთში, თუ ვერავინ გარდა შავრაზმელებისა, სიტყვას ვერ ძრავს საოლოსტო სასამართლოს სასარგებლოთ, ჩვენებური სასოფლო სასამართლოზე რაღა ითქმის? მას შეიძლება ითქვას, ერთათ-ერთი ღირსება აქვს—კოლეგიალური ხასიათი და ამის მეტი არაფერი და თუ მიუხედავათ ამისა ის ჩვენში მაინც უნდა დარჩეს ხელუხლებლათ, ამის ახსნა უნდა ვეძიოთ პოლიტიკურ მოსაზრებაში, რომელსაც ზოგიერთები სახელმწიფოებრივ სიბრძნეს უწოდებენ, ჩვენ კი სახელმწიფოებრივ სიბეცეს დავარქმევთ. ახალი კანონ-პროექტის ძალით ერობების ხელში იქნება სასამართლოს დანიშვნა, კავკასიაში უნდა ვიგულისხმოთ, თუ ოდესმე იქნა ერობა, მასში ადგილობრივი მკვიდრნი იქნებიან უმრავლესობაში და მოსამართლეებთაც აირჩევენ ადგილობრივ ელემენტებს, როგორც შავრაზმელები იყუყვიან ხოლმე „ტუზებსცებს“,—ეს კი თვით იუსტიციის მინისტრის აზრით სახელმწიფოსათვის საშიშროებას წარმოადგენს; აკი თქვა მან პოლონეთზე, რომ პოლონელების იქ მოსამართლეებათ დანიშვნა ნიშნავს სასამართლოს „ნაგვით“ ავსებასო. დუმის კომისიასაც აქ „მონაგავების“ შეშინებია და კავკასიისთვის სხვა განაპირა კუთხეებთან ერთათ ახალი სასამართლო ახალ პრინციპზე აგებული, რომელსაც სხვათა შორის ჩვენ ბევრში ვერ ვეთანხმებით, მაგრამ ამაზე სხვა დროს ვიტყვით, ნაადრევათ უცვნია. გამოდის, რომ რუსეთიდან ჩამოსული ვიღაც ბედის მაძიებელნი უფრო კარგ მოსამართლეებათ გამოდგებიან, ვიდრე ადგილობრივი მკვიდრნი. ასეთია ლოღიკა მთავრობის და მისი მონა-მორჩილის—მესამე დუმის უმრავლესობისა.

## სახელმწიფო დუმა

(საგენტოს დეპეშებიდან)

**მეთვესმეტე სხდომა.**

12 ნოემბერი

სახელმწიფო დუმა ჯერ კიდევ განაგრძობს ადგილობრივ სასამართლოების რეფორმების კანონ-პროექტის შესახებ კამათს. მეთექვსმეტე სხდომაზე ორატორები უმთავრესათ შეეხენ სავოლოსტო სასამართლოებს. ზოგი მომხრეა შენახულ იქნეს დღევანდელი სავოლოსტო სასამართლო. პეტროვი მესამე ტრუდოვიკების სახელით თხოულობს ისეთ რეფორმას, რომ მოსამართლეებს თვით ხალხი ირჩევდეს, განურჩევლათ სქესისა, აგრეთვე მოსამართლეებათ ორივე სქესის პირი იქნას არჩეული. ფავორსკი და კოვალენკო თხოულობენ შენახულ იქნას სავოლოსტო სასამართლო. კოვალენკო წინააღმდეგია ქალებს მიეცეთ უფლება მოსამართლეებათ არჩევის, რადგან ორატორის სიტყვით თუ სასამართლოში სოფლის დედაკაცები შეიკრიბენ ჩოთქებით და ცოცხებით, ის სავოლოსტო სასამართლოზე უარესი იქნება. ვოილოშნიკოვს უკვირს, **რატომ** დაივიწყეს ციმბირი, სადაც ასე საჭიროა ნამდვილი სასამართლოები და რეფორმების გავრცელება ნაადრევათ სცნეს. როდიჩევი აცხადებს, რომ საკვირველია, რათ ეშინიათ ეხლა გადასცენ სამართალი საზოგადოებრივ სასამართლოს, თუ ამის არ შეეშინდათ 1864 წელს. ორატორი წინააღმდეგია უპასუხისმგებლო კოლეგიალურ სასამართლოსი. **ორატორი** წინადადებას აძლევს დუმას—გამოიჩინოს კანონმდებლობითი ინიციატივა საერთო დაწესებულებათა რეფორმისთვის, ისე, რომ მოსამართლეებს ყველა მცხოვრებნი ირჩევდენ. შემდეგ კრიტიკას უკეთებს 1889 წლის რეფორმებს, **რომელიც** ორატორის აზრით თავად-აზნაურთა ინტრიგების შედეგი იყო, რომ ამ რეფორმების გატარებით „როზგებმა“ გლეხების ზურგზე გაინავარდეს. (ხმები მარჯვნიდან: სიცრუეა, სიცრუე). ამით დაითესა თესლი, რომლიდანაც აღმოცენდა აგრარული მოძრაობა 1904 წელს. (მარცხნით ტაშის-ცემა. ხმები მარჯვნიდან: რა სისულელეა). მარკოვი მეორე აცხადებს, რომ საოლოსტო სასამართ—ბის დამცველები გლეხთა საკ. სასამართლოს კი არ იცავენ,

არამედ ამ სასამართლოს იდეიას. ის ამტკიცებს, რომ ხალხი მეტათ ნდობით ეპყრობა მთავრობის სასამართლოს, ვიდრე არჩეულს, ამიტომ ის თხოულობს უარ-ყონ ეს კანონ-პროექტი და გადასცენ ახალ კომისიას. სკოროხოდსკი თხოულობს საჩქაროთ შეიმუშაოს მთავრობამ კანონ-პროექტი გავრცელებულ იქნას სასამართლო რეფორმა ცომბირზედაც. ბარონ მეიენდორფის აზრით სავოლოსტო სასამართლოს გმინის ტიპის სასამართლოთ შეცვლით სიმპატიური აზრია, მაგრამ დღეს ამის განხორციელება შეუძლებელია, ხალხმა უნდა დაისვენოს. ის მომხრეა მიიღონ კანონ-პროექტი შესწორებით. სპირონი სავოლოსტო სასამართლოს გაუქმების და მომრიგებელი ინსტიტუტის შემოღების მომხრეა. დასასრულ ლაპარაკობს ბელოგუროვი, რის შემდეგაც სხდომა სწყდება.

**შეკითხვა.** სხდომის განახლებისას სოკოლოვ მეორეს დუმის 38 წევრის მიერ ხელმოწერილი შეკითხვა შეაქვს, სედლეცის გუბერნატორის უკანონო მოქმედების, სოფელ ოპოლაში რომაელ-კათოლიკეთა ეკკლესიის შესახებ. ეფისკოპოსი ევლოღი ამ შეკითხვის შესახებ აცხადებს, რომ მას როგორც ფაქტიურათ ისე იურიდიულად შეუძლია დაარღვიოს ეს შეკითხვა. დუმა დასაბუთებულათ სცნობს შეკითხვას. ხმის უმეტესობით შეკითხვას ღებულობენ. დასასრულ დეპუტატი ლიუცი კითხულობს ვაჭრობის მინისტრისადმი შეკითხვას ბაქოში ნავთის ადგილების იჯარით გაცემის შესახებ. კენჭის ყრით შეკითხვას ღებულობენ. შეკითხვაზე ვრცელ განმარტებას აძლევს ვაჭრობის მინისტრი. სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა დანიშნულია 13 ნოემბერს.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ნოემბერი.

### ᲣᲪᲮᲐᲚᲔᲗᲘ

**სტამბოლი.** ერთი თვის შემდეგ აქ მოელიან რუსეთის მოძრავ გამოფენას, რისთვისაც საგენერალო ელჩის თავმჯდომარეობით შესდგა გამოფენის დამხმარე კომიტეტი.

### ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘ.

**თეირანი.** მეჯილისმა დამტკიცა აზიდულ-მულკი რეგენტათ.

### ᲐᲖᲘᲐ-ᲒᲐᲠᲔᲗ

**ვენა.** გაზეთებში მოთავსებულ წერილის, ფორტნაიტლი რევიუს გამო ამტყდარ პოლემიკის შესახებ ლონდონის ერთი გაზეთი იტყობინება, რომ წერილი ავსტრო-უნგრეთის პეტერბურგის ელჩის არის. ამის შესახებ „კორეს. „ბიურ.“ იტყობინება, რომ ეს ტყუილია.

**პარიზი.** მაროკოს კითხვაზე კამათის დროს პიშონმა განაცხადა, რომ ევროპამ ერთხმათ მოიწონა ესპანიის მოქმედება მაროკოში; ესპანიასთან შეთანხმება საჭიროა საფრანგეთის პოლიტიკის გასატარებლათ მაროკოში. პალატამ მიიღო ფორმულა, რომელიც მთავრობის მოქმედებას იწონებს და იმედს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთის ინტერესები სავსებით დაცულ იქნება მაროკოში. შემდეგ მიიღეს დამატებითი 12 მილიონის კრედიტი მაროკოს ოპერაციებზე.

**ლონდონი.** ლორდთა პალატაში 10 ნოემბერს საფინანსო ბილის განხილვა გაგრძელდა. რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა როგორც ბილის სასარგებლოთ, აგრეთვე საწინააღმდეგოც. ლორდმა კრომერმა განაცხადა, რომ თავს შეიკავებს კენჭის ყრის დროს. კენჭის ყრა მოხდება 12 ნოემბერს.

**სან-პაოლო.** 10 ნოემბერს საღამოს ანარქისტმა ყუმბარა შეაგდო გერმანელ ქვეშევრდომის მაღაზიაში. ცეცხლი გაჩნდა, რომელიც მთელ უბანს მოედო.

**ლონდონი.** რეიტერს პეკინიდან ატყობინებენ, რომ მეფის ბრძანებით ვიცეკაროლი ჩილი-ტუან-ფანი თანამდებობიდან დაითხოვეს და მის ადგილზე დანიშნეს ხუგუანა. მანჩჟურ-ჩენ-გუი-ლუნი. მის დანიშვნას ხალხი გულგრილათ შეხვდა. ჩენ-გუი-ლუნი უცხოელების მოძულეთ ითვლება და ჩინელებში პოპულიარულ პირათ არ ირიცხება.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ სხდომები განაახლა და საჩქარო შეკითხვები განიხილა. ჩეხი-რადიკალები მინისტრებს საპროტესტო სიტყვებით შეხვდენ, მაგრამ წესიერება მალე აღდგენილ იქნა.

### ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

**პეტერბურგი.** სამსახურიდან დაითხოვეს თანახმათ თხოვნისა ვაჭრობის მინისტრი ტიმირიაზევი მისი უდიდებულესობის სასახლის ობერ-გოფმეისტრის წოდებით. მის ადგილზე დაინიშნა სახელმწიფო ბანკის გამგე ტიმაშევი.

**ტაშკენტი.** გენერალ-გუბერნატორის თანაშემწის თანდასწრებით გამოსცადეს არტეზიანის ჭა, თუ რამდენათ გამოსადეგია ის მოსარწყავათ. ცდას უნაყოფოთ არ ჩაუვლია. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს თურქესტანის მხრისათვის.

**ტაშკენტი.** გაზეთ „ნა რუბეჟეს“ რედაქტორს საოლქო სასამართლომ 500 მანეთი ჯარიმა მიუსაჯა საინტენდანტოს შესახებ დასტამბულ წერილის გამო.

**ოსტრომოჟსკი.** სადგურ ლისკზე ორი საქონლის მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა. დაიმსხვრა 15 ვაგონი, დაშავდა ორი მოსამსახურე.

**ნოვოჩერკასკი.** პოლიციამ დაიჭირა საიდუმლო ორგანიზაციის მეთაური, რომელიც წერილებით ფულებს სტყუებდა მცხოვრებთ.

**ვარშავა.** სამოსამართლო პალატამ დახურულ კარებში გაარჩია მწერალ პშიბიშევსკის და მისი ორი გამომცემლის საქმე, რომლებიც პასუხის გებაში იყვნენ მიცემულნი ისტორიული მოთხრობების დასტამბისათვის, რომელიც დამოკიდულებას ამწვავებს მცხოვრებთა სხვა და სხვა ნაწილებს შორის.

**ადესა.** მანეჟის ქუჩაზე გაჩხრეკის დროს ერთ სახლში ჯოჯოხეთის მანქანა აღმოაჩინეს. პოლიციამ სახლის პატრონი დააპატიმრა.

**ვლადიკავკაზი.** დილის ოთხ საათზე 30 კაცი პროხანოვის წისქვილში შეცვივდა. ერთი დარაჯი მოკლეს, მეორე დასჭრეს. წისქვილის პატრონმა ცოლ-შვილით გაქცევა მოასწრო.

**პეტერბურგი.** მიწის მომწესრიგებელ უმთავრეს გამგეობას დუმაში კანონ-პროექტი შეაქვს, რომ მთავარ გამგეს ნება მიეცეს თავის მხრით ნება დართოს მისდამი რწმუნებულ სასწავლებლებში პოლონეთის და ბალტიის მხრის გუბერნიებში სწავლება ადგილობრივ ენაზე შემოიღონ.

ოფიციალურათ გამოქვეყნდა ახალი საპენსიო წესდების პროექტი სამხედრო პირთათვის, რომელიც მოქმედებაში შევა 1 იანვრიდან.

**მოსკოვი.** ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა ხუთასი კვადრატ. საჟენი მიწა დაუთმოს შანიავსკის სახელობაზე სახალხო უნივერსიტეტის ასაგებათ.

საოლქო სასამართლოში დაიწყო საპატიო მოქალაქის კოზნოვის საქმის გარჩევა, რომელსაც სხვადასხვა დროს მოსკოვის რუმიანცევის მუზეუმიდან გაუტანია 400 ძვირფასი ნივთი და გაუყიდია.

**ვოლოგდა.** უსტიუგის საერობო კრებამ დაადგინა შეუდგეს საყოველთაო განათლების შემოღებას მაზრაში.

**ნოვოროსია.** საღამოს ხუთ საათზე საგრძნობელი მიწის ძვრა მოხდა.

# უკანასკნელი ფოსტა

### ᲥᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ.

**შეტაკება ბასრაში.** როგორც სტამბოლის გაზეთები იტყობინებიან, ბასრას ვილაიეტში შეტაკება მომხდარა ოსმალეთის ჯარსა და აჯანყებულთა შორის. უკანასკნელებს დიდი ზარალი მოსვლიათ.

**საბერძნეთის საქმეები.** ათინაში სამხედრო ლიგისა და უნტერ-აფიცერთა შკოლა-დამთავრებულ ოფიცერთა შორის უთანხმოება დღითი-დღე იზრდება. ამის გამო მინისტრ-პრეზიდენტმა სამხედრო მინისტრთან მოლაპარაკება გამართა.

**შეტაკება პოლიციელებთან.** ელევზისში 2 ნოემბერს დიდი სისხლის ღვრა მოხდა. პოლიციელებს შეტაკება მოუვიდათ მთვრალ კრიტელებთან. ორივე მხრით არიან დაჭრილები და დახოცილები.

**ტიპალდოსის საქმე.** ტიპალდოსის აჯანყებაში მონაწილეობის მიმღებ აფიცერთა შესახებ გამოძიება მალე დამთავრდება. აფიცრები ამჟამათ დატუსაღებულნი არიან. მათ თავგასიანათ ეპყრობიან და ნაცნობ-ნათესავების ნახვის უფლებას აძლევენ. აჯანყების მეთაურები ირწმუნებიან—სასამართლოში ისეთ რამეებს გამოვაქვეყნებთ, რაც საქმეს სრულიად სხვა სახეს მისცემსო.

**გაზეთების დატუქსვა.** სამხედრო ლიგის წარმომადგენლებმა ათინის გაზეთების ყველა რედაქციები ჩამოიარეს და ლიგის სახელით სასტიკათ აუკრძალეს გაზეთში რაიმე ცნობის დასტამბვა საბერძნეთის თანამედროვე კრიზისის შესახებ.

**აბდულ-ჰამიდი.** როგორც სალონიკიდან იტყობინებიან, ყოფილი სულთანი სრულიად ჯანსაღათ გრძნობს თავს. ვიდრე სალონიკში ამჟამათ ყვავილი მძვინვარებს, სულთანს ექიმმა წინადადება მისცა ყვავილი აეცრა. სულთანი დიდი ყოყმანის შემდეგ დათანხმდა მხოლოდ იმ პირობით, თუ ყვავილს მის სასახლეში მყოფი მანდილოსნები და სულთანის უმცროსი ვაჟიც აიცრიდა.

**ალბანელების დეპუტაცია.** ბერლინელ გაზეთებს სტამბოლიდან ატყობინებენ, რომ 3 ნოემბერს დიდმა ვეზირმა ალბანელების დეპუტაცია მიიღო. დეპუტაცია მოითხოვს, რომ ალბანელების იარაღის აყრა ჯერ-ჯერობით შეჩერებულ იქნას და ჯერად-ფაშა უკანვე გამოიწვიონ თავისი დამსჯელი რაზმით.

### ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘ.

**ბრძოლა შახსევანებთან.** არდებილში მიმავალ მთავრობის ჯარს, რომელსაც წინამძღოლობს ეფრემა, „ბაქოს“ სიტყვით, დიდი ბრძოლა მოუხდა მეამბოხე ხონჩენ-ჯენთან. თერთმეტი საათის ბრძოლის შემდეგ გამარჯვება ჯარს დარჩა. ტყვეთ წამოიყვანეს 300 კაცი და ხელში ჩაიგდეს ციტადელი.

**რაზმი შახსევანების წინააღმდეგ.** გაზ. „კავკაზ“-ს ატყობინებენ: კავკასიელ მუჯახიდებისაგან შემდგარი რაზმი, რიცხვით 400-მდე კაცი, რეშტში მისვლისათანავე, სამი დღე ემზადებოდა შახსევანების წინააღმდეგ გასალაშქრებლათ. გზაში საჭირო სურსათისთვის რაზმს კერძო პირებმა დახმარება აღმოუჩინეს და მთავრობამაც გადასდო თავის შემოსავლიდან 20,000 სპარსული თუმანი. 29 ოქტომბერს კავკასიელი მუჯახიდები რეშტიდან მივიდენ ენზელში, ხოლო 31 ოქტომბერს ენზელიდან გემებით ასტარაში გაემგზავრენ. მუჯახიდების გარდა მოიწვიეს მსურველნი ადგილობრივ მცხოვრებთაგან. გამოცხადდა ასზე მეტი კაცი, რომლებიც გამოაწყვეს რითაც კი საჭირო იყო და გაგზავნეს შახსევანების წინააღმდეგ. ხმებია, შახსევანები არდებილიდან სადღაც გავიდნენო.

**მდგომარეობა რეშტში.** თუმცა ამ უკანასკნელ ხანებში მთავრობის დამოკიდებულება ზეიდჟანელებთან (მოლლა-კურბან-ალის მიმდევრებთან) გაუმჯობესდა, და ზეიჯანელები დათანხმდენ მთავრობის გუბერნატორის დანიშვნაზე უმუჯახიდებოთ, მაგრამ, როგორც ხმები დადის, მათ უთანხმოება მოსვლიათ ახლათ დანიშნულ გუბერნატორთან. შიშობენ, ზეიჯანელები შახსევანების გამარჯვების შესახებ გავრცელებულ ხმების ზეგავლენით აჯანყდებიანო.

რეშტში და აბრო-მასტრო სიწყნარეა.

### ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.

**ბეკმანის სამსახურიდან გადადგომა.** „ბაქოს“ ატყობინებენ: გენ. ბეკმანს წინადადება მიეცა დაბეჯითებით აასრულოს მინისტრთა საბჭოს ბრძანება, და თუ თანახმა არაა, შეუძლია სამსახურს თავი დანებოს. ბეკმანმა გადასწყვიტა სამსახურიდან გადადგომა. მის ადგილზე გენ. ზეინი დაინიშნება. ზეინი ეხლა გენ. გუბერნატორის თანაშემწეა. ის ბობრიკოვის დროს მსახურებდა და მისი მარჯვენა ხელი იყო.

— **დუმის გარშემო.** დუმის თავმჯდომარემ მშრომელთა ჯგუფისაგან შემდეგი განცხადება მიიღო: „პრესაში გამოქვეყნდა, რომ დუმის პრეზიდიუმმა განკარგულება მოახდინა მინის კედლის გაკეთების შესახებ, რომ დეპუტატები და ჟურნალისტები ერთმანეთს დააშორონ. აღნიშნავს რა ამ ფრიად სასარგებლო ღვაწლს, რომელსაც დუმის ჟურნალისტები ეწევიან, შრომის ჯგუფი პროტესტს აცხადებს ჟურნალისტების უფლებების შეზღუდვის გამო, და პრეზიდიუმის განკარგულება მიაჩნია სახალხო წარმომადგენლების დამამცირებელ ფაქტათ.“

— მუშათა კომისიაში განიხილეს საკითხი საექიმო დახმარების მოწყობის შესახებ მუშებისათვის. კომისიამ შეუძლებლათ სცნო ურთიერთშორის დამხმარებელი საექიმო კასის დაარსება. შემდეგ სხდომაზე კანონპროექტს მუხლებრივ განიხილავენ.

— ვინაიდან გუჩკოვ-უვაროვს შორის ჩამოვარდნილმა განხეთქილებამ სერიოზული ხასიათი მიიღო, ზოგიერთმა დეპუტატებმა გადასწყვიტეს ხომიაკოვს მიმართონ, რომ საქმეში ჩაერიოს და მშვიდობით დააბოლოვოს. როგორც დუმის კულუარებიდან იტყობინებიან, გუჩკოვსა და უვაროვს მთავრობისაგან გაფრთხილება მიუღია, რომ დუელი არავითარ შემთხვევაში დაშვებული არ იქნებაო.

— დუმის დეპუტატებმა გეგეჭკორმა, აჯემოვმა და საგათელიანმა ვლადიკავკაზიდან დეპეშა მიიღეს, რომელსაც ასი კაცი აწერს ხელს. დეპეშის ავტორები სთხოვენ დეპუტატებს იშუამდგომლონ ვისთანაც ჯერ არს, რომ კარეტა-საგალოვს სასჯელი შეეცვალოს. ამ უკანასკნელს ბრალდება პოლკოვნიკ ისტომანის მოკვლა, რისთვისაც სასამართლომ მას ჩამოხჩობა მიუსაჯა. დეპეშა გადაეცა ხომიაკოვს, რომელიც პირადათ იშუამდგომლებს სამხედრო მინისტრის წინაშე სასჯელის შემსუბუქებისათვის.

**26,000 მ. მოტაცება.** 4 ნოემბერს პეტერბურგში დეპეშა მიიღეს მე-2 პოლკის ხაზინადარის პოდპორუჩიკ როსლისაგან, რომელიც ეუბნებოდა, რომ 3 ნოემბერს ბალტიის რკინიგზის სადგურ ლუგასთან ბანდიტებმა მოსტაცეს 26,000 მანეთი.

---

## სოციალისტ-უტოპისტები.

(შემდეგი)

უტოპიური სოციალიზმის მეორე შესანიშნავი წარმომადგენელი იყო შარლ ფურიე. ფურიე დაიბადა **1772** წ. 7 თებერვალს საფრანგეთში. ის იყო მდიდარი ვაჭრის შვილი. მამის სურვილი იყო, რომ ის კომერციის კაცი გამხდარიყო. ამ მიზნით პატარა ფურიეს აყენებენ მაღაზიაში ნოქრათ. მაგრამ თვით ფურიე არავითარ ლტოლვილებას არ გრძნობდა ამ „სიცრუის კეთილ-შობილურ ხელოვნებისადმი“, როგორც ის ეძახდა საქონლის გაყიდვას. ის ვერ ეწყობოდა ვერც ერთ ხაზეინს და ხშირათ იცვლიდა მათ. არც თვით ხაზეინები შეხაროდა მაინცა და მაინც მის დაჭირავებას. „პატიოსანი ახალგაზრდაა, მარა საქმისთვის არაა დაბადებული“—იმეორებდენ ერთი-მეორეზე. თავის ხაზეინების საქმეების გამო ფურიეს დიდი ხნით მოგზაურობა მოუხდა საფრანგეთში, გერმანიაში, გოლანდიაში და ბელგიაში. ამ დროს ფურიე 18 წლის იყო. მან ისარგებლა ამ შემთხვევით და შეისწავლა ამ ქვეყნების კლიმატი, უმთავრესი ქალაქების არხიტექტურა, მრეწველობა, სოციალური პირობები და მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებათა ხასიათი.

**1812** წ. ფურიემ მიიღო დედისგან მცირეოდენი ქონება, რომელიც წლიურათ 900 ფრანკს აძლევდა. გარდა ამისა ფურიე ისედაც მოულობდა ორიოდე გროშს მაკლერობით და ეს საშუალებას აძლევდა მას მიეტოვებია სავაჭრო საქმეები. მან კიდევაც მიატოვა ის და ერთავათ სოციალურ პრობლემის შესწავლას შეუდგა.

თავის აზრების გამოთქმაში ფურიე მეტის-მეტი თამამი იყო. მართალია ხშირათ ამ აზრებში სუსტი და ბავშური რამაც ბევრი იყო. მისი მსჯელობა ხშირათ სალ აზრის საზღვრებს ცილდება და უაზრობის მეორევში ცურავს. მაგ. ის სრულიად სერიოზულათ ამტკიცებდა რომ, რამდენიმე ხნის შემდეგ, ზღვის წყალი გადაიქცევა ისეთ სასიამოვნო სასმელათ, როგორიც არის ლიმონადი. რომ დედამიწაზე გაჩნდებიან ახალი ჯიშის ცხოველები: ანტი-ლომები და ანტი-ვეფხვები, რომლებიც ცხენების მაგიერობას გაწევენ და სულ რამდენიმე საათის განმავლობაში გადაიყვანებენ ადამიანებს პარიზიდან ლიონში. გაჩნდებიან ანტი-გველეშაპები, რომლებიც ზღვაზე ბუქსირით წაიყვან-წამოიყვანენ ხომალდებს. ის ანგარიშობდა, რომ ინგლისის სახელმწიფო ვალის გადასახდელათ საკმარისი იქნება იმ ქათმის კვერცხების ნახევარი, რომელსაც წლის განმავლობაში მოაგროვებდა თავის ფალანსტერებში და სხვა.

საზოგადოთ შენიშნულია, რომ ყველა გენიალურ პირებს თანამედროვენი სულელათ თვლიან და ეს ბედი არც ფურიეს აცდა. მას დაჟინებით სულელს და შეშლილს ეძახიან. ზოგი კიდევ „იდიოტს“. ასევე ეძახის მას ევგენი დიურინგიც, რომელსაც სხვათა შორის ასეთი დასკვნა გამოყავს ფურიეს გვარის პირველ ხმიდან, რომელიც (fur) ნიშნავს—შეშლილს.

პირველ თავის ფანტასტიურ თხზულებაში, ფურიე იმ აზრს ატარებს რომ, ხანგრძლივი მშვიდობიანობის დასაცველათ საჭიროა ევროპაში დაარსდეს „მსოფლიო იმპერია“. ასეთი იმპერია უნდა შეადგინოს ევროპის ოთხმა სახელმწიფომ: საფრანგეთმა, რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ. თუმცა, პრუსიის იარაღითაც დამორჩილებაც შეიძლება. ხოლო თუ რომ პირველ სამ სახელმწიფოთა შორის დავა-უთანხმოება ატყდება, ავსტრია უნდა გაითქვიფოს და ამგვარათ მსოფლიო ბატონობის შესახებ დავა გაიმართება რუსეთს და საფრანგეთს შორის. ამასთან გამარჯვების მეტი შანსები იქნებოდა რუსეთის მხარეზე და სხვ. მიუხედავათ ყველა ამაებისა, ფურიე იყო ერთი უშესანიშნავესი პირი, რომელმაც ასეთი დიდი როლი ითამაშა თავის დროზე და მის შემდეგ მისმა იდეებმა.

1808 წ. ფურიემ გამოაქვეყნა შრომა თავის სოციალურ სისტემის შესახებ. არც ერთ უტოპისტს არ შეუმუშავებია ასეთი ორიგინალური, რთული და დაწვრილებით აწერილი სოციალური სისტემა. ამ სისტემის აღმოჩენას ფურიე უბრალო შემთხვევას აწერს. ის მოგვითხრობს, რომ მას ერთხელ, პარიზის ერთერთ რესტორანში, ერთ ვაშლში გადაახვევინეს სწორეთ იმდენი, რამდენიც მან ას ვაშლში მისცა პროვინციაში, საიდანაც ის იყო დაბრუნდა. მისი თქმით ამ უბრალო შემთხვევამ აღძრა მასში სურვილი მრეწველობის კანონების შესწავლა-გამოცნობისა, რაზედაც მან ააშენა თავის სოციალური მოძღვრება.

ამ მოძღვრებაში შესანიშნავია, როგორც მისი კრიტიკული ნაწილი თანამედროვე წყობილების შესახებ, ისე მისი დადებითი მხარე. ის ამტკიცებს რომ ადამიანი გაჩენილია ბედნიერებისათვის. ამიტომ საზოგადოებრივი წეს-წყობილების თავი და თავი დანიშნულებაა, რაც შეიძლება მეტი ბედნიერება მიანიჭოს მას. ის საზოგადოებრივი სიმდიდრის უთანასწორო განაწილებიდგან და ღარიბთა კლასისადმი თანაგრძნობობიდან კი არ გამოდის, როგორც უმეტესი ნაწილი უტოპისტ-სოციალისტებისა, არამედ წარმოების ანარქიიდგან, მოუწესრიგებლობიდან და იმ საოცარი მდგომარეობიდან, რომელშიაც იმყოფება შრომა. ის ადამიანთა გრძნობას აღარ მიმართავს, არამედ მათ მატერიალურ ინტერესებს. მისი ლოზუნგია „წესიერება“ და „სამართლიანობა“. „ღმერთმა შექმნა მსოფლიო—ამბობს ის—ერთ-გვარათ და ჰარმონიულათ. ამიტომ ყველა არსებათა შორის სუფევს ჰარმონიული კავშირი: ორგანიული და არა ორგანიული, კაცი და ღმერთი, კაცი და მიწა, მიწა და მსოფლიო—ჰარმონიულათ შეკავშირებულია ურთიერთ შორის. ღმერთმა ადამიანი დააჯილდოვა ინსტიქტებით, სურვილებით (страсть), მას სახეში ჰქონდა ამ ინსტიქტების და სურვილების თავისუფალი და სრული განვითარება—დაკმაყოფილება და არა მისი დათურგვნა. ამიტომ ადამიანთა ყოველ-გვარი ინსტიქტები აღიარებულ უნდა იქნას კანონიერათ და სასარგებლოთ. საზოგადოების იდეალური წყობილებაც სწორეთ ისეთი იქნება, სადაც მის წევრს, სრული საშვალება ექნება დაიკმაყოფილოს თავის სურვილები და ინსტიქტები“.

რაკი ადამიანი გაჩენილია ბედნიერებისათვის, მისი ყოველგვარი მოთხოვნილება სავსებით უნდა დაკმაყოფილებული იქნეს. ეს არის შინაარსი მისი ბედნიერების. ამისთვის კი საჭიროა სიმდიდრე. სიმდიდრე იძლევა თავისუფლებას აკეთოს ის რაც გსურს და როცა გსურს. სიმდიდრიბე კი ადამიანს აყენებს ფიზიკურ ტანჯვას, ის ამცირებს მას მორალურათ, ასწორებს დედა-მიწასთან და ზედ-მეტი შრომით კლავს მასში ნიჭის განვითარების შესაძლებლობას. ამიტომ სანამ არ მოისპობა სიღარიბე, მანამდის ვერც ადამიანი მიაღწევს ბედნიერებას. თანამედროვე წყობილებას არ შეუძლია გახადოს ადამიანი ბედნიერათ, ამიტომ ის უვარგისია და უნდა მოისპოს. ის ვერ აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას. მან ვერ გაანთავისუფლა ადამიანი სიღარიბისაგან. უდიდესი ნაწილი კაცობრიობისა იტანჯება სიღარიბისაგან. და ეს სიღარიბე კი არ კლებულობს, არამედ თანდათან მატულობს. იზრდება იმდენათ, რამდენათაც წინ მიდის ცივილიზაცია. პირველი ყოფილი ადამიანი ბევრათ უფრო ბედნიერი, მდიდარი და თავისუფალი იყო, ვინემ დღევანდელი

კინის გაქცევის შესახებ. როსკინს გაუტაცნია 26,000 მ. სახაზინო ფული. პოლიციამ ზომები მიიღო როსკინის დასაჭერათ.

**ქმრის დაწვა**. ვიშნევოლოცკის სადგურზე ჟანდარმის ოჯახში შემდეგი დრამა მოხდა. ჟანდარმ პავლოვს ცოლი ხშირათ ამხილებდა ხოლმე ცოლქმრული კავშირის ღალატში. ქმარი სასიკვდილოთ სცემდა ცოლს ყოველი მხილების შემდეგ. 26 ოქტომბერს ჩვეულებრივი სცენა განმეორდა: პავლოვმა ცოლს სცემა და დასაძინებლათ დაწვა. ახალგაზდა ცოლმა მძინარე ქმარს ბენზინი გადაასხა და ცეცხლი წაუკიდა. ცეცხლში გახვეული ჟანდარმი ქუჩაში გავარდა და შველას თხოულობდა, მაგრამ სანამ ვინმე მიეშველებოდა, მან უკვე სული განუტევა.

**გაფიცვა**. სასამართლომ დაასრულა რიგა-ორლოვის რკინის გზის გაფიცვის საქმის განხილვა. 5 ნოემბერს განაჩენი გამოიტანეს, რომლის ძალითაც კომასოვს მიესაჯა სამი წლის ციხე, კულეშოს—ორი წლის, ინჟენერ მიამლინს და ტერ-ოგანეზოვს—წელიწად ნახევრის, 56 —უფრო მცირე ხნის ციხე. 37 ბრალდებული სასამართლომ გაამართლა.

**თანამშრომელი—შანტაჟისტი**. მთავრობამ განკარგულება მოახდინა „გოლოს პრავდას“ (მემარჯვენე ოქტომბრისტების გაზეთია) სამხედრო თანამშრომელის პროტასევიჩის დაჭერის შესახებ. პროტასევიჩს შანტაჟისტობას აბრალებენ.

**გბრაელები ფინლიანდიაში**. დახურვის წინა დღით ფინლიანდიის სეიმმა დაადგინა მისი უდიდებულესობის სახელზე პეტიცია გაეგზავნა და ეთხოვა ნება დაერთო სეიმისათვის ებრაელების შესახებ კანონ-პროექტი შეემუშავებია. ამ კანონ-პროექტის ძალით ებრაელებს უფლება უნდა მისცემოდათ ფინლიანდიის ქვეშევრდომათ გახდომისა და ფინლიანდიის ტერიტორიაზე თავისუფალი ცხოვრებისა.

**არჩევნები „კავშირის უმთავრეს საბჭოში.“** ჰეშმარიტ რუსთა კავშირის უმთავრეს საბჭოს წევრებათ აურჩევიათ იაროსლავის გუბერნატორი სენატორი რიმსკი კორსაკოვი და გატჩინის საავათმყოფოს უფროსი ექიმი ნადეჟდინი. საბჭოს წევრებათ არიან აგრეთვე დუბროვინი, პოლუბო იაროუნოვის ქალი, სამთო ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი სოკოლოვი, სახელმწიფო საბჭოს წევრი გოვორუხა-ოტროკი, მეთევზე ბარანოვი, აკადემიკი სობოლევსკი და სახელმწიფო დუმის წევრები: მარკოვი მე-2, მაშკოვიჩი და ტიმოშკინი.

### ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗ

**ფერერის პროცესის გადასინჯვა**. მადრიდის პრესა კომპანიას ეწევა ფერერის პროცესის გადასინჯვის შესახებ. კლერიკალები და რეაქციონური გაზეთები საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევიან.

**ჟორესის სიტყვა**. ბიუჯეტის განხილვის დროს პალატაში ჟორესმა ცხარე სიტყვა წარმოსთქვა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთში. ჟორესი ამტკიცებდა სამხედრო წყობილების შეცვლას და მუდმივი ჯარის მაგიერ სახალხო მილიციის შემოღებას, როგორც ეს შვეიცარიაშია.

**სოც-დემოკრატების გასამართლება**. როგორც აღნიშნული გვქონდა, რუმინიის მთავრობამ სახელმწიფოს საზღვრებიდან გააძევა სოციალდემოკრატების ბელადი რაკოვსკი. ამის გამო სოციალდემოკრატიულმა პარტიამ მიტინგები და დემონსტრაციები გამართა. პოლიციამ ბევრი მათგანი დაატუსაღა და სასამართლოს გადასცა. პირველი პროცესი კარგათ გათავდა. ოთხ სოციალდემოკრატს მხოლოთ ხუთი დღით დატუსაღება მიუსაჯეს მიუხედავათ იმისა, რომ პროკურორი ხუთი წლით მათ დასჯას მოითხოვდა. პროგრესიული გაზეთები სიხარულით მიეგებენ ამ განაჩენს.

**ფერერის ქალიშვილები**. ფერერას ორი ქალიშვილი დარჩა, რომელნიც ამ ჟამათ პარიზში ცხოვრობენ. მათ ფრანგულ გაზეთებში წერილები მოათავსეს, სადაც პროტესტს აცხადებენ იმ ყალბი ცნობების გამო, რომელსაც კლერიკალები ფერერის შესახებ ავრცელებენ საფრანგეთში.

### „ᲞᲔᲢᲘ“ ᲨᲐᲜᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲭᲣᲛᲓᲐ.

ამ რამდენიმე დღის წინათ „თბილ. ფურც“. შეეკითხა „დროების“ რედაქციას: „იცით თუ არა, რომ ა. შანშიაშვილის პოემა „ოცნების მხარეს“, რომელიც თქვენ გაზეთში იბეჭდება, გადმოკეთებულია საფრანგეთის შესანიშნავ მწერლის, როსტანის, „პრინცესსა გრიოზა“-დან? (ა. შანშიაშვილმა ეს ფაქტი არ აღნიშნა გაზეთში და როსტანის დაფნების მოკრეფა თვითონ მოინდომა). ეს ამბავი შენიშნა ჟურნ. „მათრახმაც“ და თავის უკანასკნელ №-ში გაამათრახა პლაგიატორ-ავტორი ა. შანშიაშვილი. მაგრამ უკანასკნელმაც და „დროების“ რედაქციამაც ისევ ჩაჩუმება ირჩიეს. ა. შანშიაშვილს როსტანის ზემოაღნიშნულ პიესიდან არა მარტო ფორმა(ასე გასინჯეთ, აქსესუარებიც კი!) მოუპარავს, არამედ ოთხი უმთავრესი მომქმედნი პირნიც! აი მათი სახელები: როსტანის პიესა.—პრინცესსა გრიოზასადმი სიყვარულისაგან დავათმყოფებული მგოსანი ჰრინც ჟოფრუა, მისი გულითადი მეგობარი ბერტრანი (ეგეც მგოსანი), ღვთის მოყვარული ტრობეიმი და პრინც ჟოფრუას სათაყვანებელი ოცნება ჰრინცესსა გრიოზა მელისსანდა. შანშიაშვ. მ. —ოცნება—სიყვარულისადმი ლტოლვილებაში და ფიქრში დავათმყოფებული მგოსანი, მისი გულითადი მეგობარი მზისკვარ (ეგეც მგოსანი), ღვთისმოყვარული ბერო და მგოსნის სათაყვანებელი ჰაეროვანი არსება ფანტაზია-სუნამური (დანარჩენნი უმცირესნი რეალური პირნი როსტანის პიესიდან ა. შანშიაშვილს, მკითხველის თვალის ასახვევათ, ფანტასტიურ ფრინველებათ, ავ და კეთილ სულებათ გადაუნათლია).

რაც შეეხება პიესის დედა აზრს, ეგეც ორთავ პიესაში თითქმის ერთნაირია, მხოლოდ შანშიაშვილს ხელდახელ მოშიფშიფებულ პესსიმიზმში აუთლაფია! გადავიდეთ ახლა ლექსებზე. რო ეგენიც ალაგ-ალაგ როსტანის პიესიდანა აქვს ნასესხი შანშიაშვილს, მაგას აშკარათ ამტკიცებს ქვემოთ მოყვანილი სტრიქონები ორთავ პიესიდან.

**როსტანის „პრინცესსა გრიოზა“ დან: ტროფიმი**

Заступница несчастныхъ моряковъ,
Звѣзда морей, о, Дѣва пресвятая!
Ты разгоняешь стаи обла овъ,
Волненія и бури укрощая...
Мы подъ твою защиту отдались!
Пусть, наконецъ, какъ лебедь величавый,
Войдетъ корабль нашъ въ городъ Трипо-
| лисъ.

**შანშიაშვილის „ოცნების მხარე“-დან: ბერო**

დმერთო, დმერთო! გადმოგვხედე,
ნუ, ნუ მიგვცემ მძრგვინავ ტალღებს;
შენ განაგებ წუალსა, სმელეთს,
ცაში მნათობთ და ვარსკვლავებს.
ნუ დაგვმარხავ ზღვის უფსკრულში
მიგვაბარე შავს საფლავებს...

**როსტანს „პრინცესსა გრ“-დან: პრინც ჟოფრუა**

Бертранъ, ее ты долженъ умолить,
Растрогать долженъ! будь краснорѣчивъ,
Придумай... Нѣтъ—скажи всю правду,
| лучше:

Скажи, что обожаю я ее,
Что за нее теперь я умираю,
Что я всю жизнь на то лишь посвящалъ,
Чтобъ воспѣвать красу ея и прелесть
И что умру счастливѣе царя,
Когда за жизнь, что отдалъ ей она,
Подаритъ мнѣ одну минуту счастья.

**ა. შანშიაშვილის „ოცნების მხ.“ დან: მგოსანი.**

მზისკვარ ჩემო! შენ წახვალ,
მთიდამ უცხო მხარესა;
გოშკს ჰმოვეც ტურფად ანგებს,
ალმასებრ მოელვარესა;
იქ ჰნახავ ჩემსა სიყვარულს,
გაბადრულს, ვითა მთვარესა:
მოუთხრობ ეტყვი უველაფერს
ჩემსა ამბავსა მწარესა!

მე დავუძღურდი, არ ძალმიძს,
შორი მანძილი გავლიო;
მთასა ვერ ავალ მაღალსა,
ვი თუ სული დავდიო.
მე აქ დავიცდი ნაპირზე,
თვალსა ტრფიალ შეუშრობელი;
უთხარი, წუალულ გარ, მსურს ნახვა,
მოუთმენლად მოველი!

„ვოლნი პერევოდია“ მა რა ჯანდაბაა! უადგილობის გამო აქ არ მოგვყავს ყველა ლექსები, რომელიც შანშიაშვილს

---

იმ თავით მცონარე და არაფრის არ შემქნელნი.

ფურიე სასტიკი მტერია ვაჭრების. ისინი არაფერს არ ქმნიან—გაბრაზებული ამბობს ის—ღებულობენ კი იმდენ ფულს რომ, იმით შეიძლებოდა 4 მილ. კაცის რჩენა. ისინი არიან მევახშენი, ატყუებენ სხვებს, სჩადიან სიყალბეს, და გაიძვერობენ. ისინი სტაცებენ საზოგადოებას ისეთ ადამიანებს, რომლებსაც შეეძლოთ საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანა. დიახ, ვაჭრები შლის და ანგრევს წარმოებას და ფლანგავენ სრულიათ უსარგებლოთ აუარაბელ სიმდიდრეს.

ამგვარათ პირველი დიდი ნაკლი თანამედროვე წყობილების, ფურიეს აზრით, არის უსარგებლოთ დაკარგვა ადამიანთა აუარებელ სამუშაო ძალების, შექმნა ურიცხვი, უნაყოფო და გამანადგურებელ ელემენტთა მთელი ლეგიონების და გამოუყენლობა იმ ცოტა მუშათა რიცხვისაც, რომლების შრომა ფრიად ნაყოფიერია.

ერთ მიზეზთაგანათ ფურიე ასახელებს აგრეთვე მეურნეობის დაქსაქსვა-დაქუცმაცებას. წვრილი წარმოება, მისი აზრით, ბოროტებაა. წვრილ წარმოებაში იხარჯება უსარგებლოთ ბევრი დრო და შრომა. ამიტომ ის დიდ უპირატესობას აძლევს მსხვილ წარმოებას. თვით შრომა თანამედროვე წყობილებაში უსიამოვნო და მოვალეობითია. მუშაობის პირობები მძიმე და აუტანელი. სამუშაო არ იზიდავს მუშას. შრომა არ შეადგენს

---

განცხრომას. ის არ შეეფერება ადამიანის გემოს და ნიჭს. ადამიანი მუშაობს იძულებით, ამიტომ ის მუშაობს ცოტას და ცუდათ. ამგვარათ შრომის შეძულების მიზეზია, მეურნეობის ცუდი ორგანიზაცია. ყველა ამაებიდან ფურიე იმ დასკვნამდის მიდის, რომ აცხადებს: „გაბატონებული ფორმა თანამედროვე წესწყობილების ეწინააღმდეგება, როგორც კეთილ პიროვნების, ისე მთელი ხალხის საერთო ინტერესებს“.

რაკი უმთავრესი ბოროტება—ეს ცუდი და უვარგისი საწარმოო წესებია, საჭიროა, მაშასადამე მისი უარყოფა და სხვა უკეთესი ფორმის დამყარება. და აი ამ ფორმებს ზედი-ზედ იგონებს ფურიე და ცდილობს მის ცხოვრებაში გატარებას. „მეტათ საჭირო და მნიშვნელოვანია—ამბობს ის—შეადგინო საზოგადოების წყობილების ისეთი გეგმა, რომელიც უზრუნველ ყოფს, თვით უკანასკნელი მუშის საკმაო კეთილდღეობას“.

სიმდიდრესთან და ჯან-მრთელობასთან ერთად ფურიეს აუცილებლათ მიაჩნია თავისუფლებაც. მარა ცივილიზაციის ეპოქაში მისი აზრით თავისუფლება არ არსებობს. ამიტომ ფურიე, ისე როგორც ოუვენი, გულ-გრილათ უყურებდა საფრანგეთის დიდ რევოლიუციას. ხალხს ეკონომიურათ არაფერი არ მოუგია რევოლიუციისაგან. შიმშილი და სიღატაკე ისევ ძველებურათ ბატონობს. აქედან მას ის დასკვნა გამოყავს რომ, პოლიტიკურ ფორმას არავითარი მნიშვნელობა

---

უსესხია როსტანის პიესიდან, მაგრამ თუ საჭირო იქნება, მათაც მოვიყვანთ. დასასრულ არ შეგვიძლიან არ შევეკითხოთ ბ-ნ შანშიაშვილს: **для чего было огородъ городить?** არა სჯობდა, თავიდანვე აღენიშნა, რომ მისი პოემა „ოცნების მხარეს“ გადმოკეთებულია—(მეტათ უშნოთ კი!)—როსტანის მშვენიერ პიესიდან?

ჯერ-ჯერობით ამით ვათავებთ...

ნ. დ.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**დრამატიული საზოგადოების გამგეობის** 11 ნოემბრის სხდომაზე განიხილეს წინადადება ქალაქის გამგეობისა, რათა საზოგადოებამ წარმომადგენელი გამოგზავნოს ქალაქის კომისიაში, რომელიც „სახალხო სახლის“ საქმეებს გააანაგებს. წარმომადგენელათ არჩეულ იქნა საზოგადოების მდივანი ნანობაშვილი. სხდომაზე სხვათა შორის, გამგეობა წარმოდგენების მომწყობ ქართულ სექციისა და „ახალ წრის“ ურთიერთ შორის ახლანდელ დამოკიდებულებას შეეხო და სურვილი გამოსთქვა იმათ შორის შეთანხმების ჩამოსაგდებათ. ამ საქმის მოწესრიგება ივ. გომართელს მიენდო.

✦ **სახალხო სახლის ბიბლიოთეკაში**, რომელსაც ბევრი მკითხველი აწყდება, ისეთი სივიწროვეა, რომ ბევრს წიგნათ ფეხზე დგომა უხდება. საჭიროა, ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

✦ **კახეთის რკინის გზა**. თფლისის თავად-აზნაურობის მინდობილობით, ინჟინერმა ანდრონიკოვმა უკვე დაითანხმა ადგილების გაყიდვაზე ის მეპატრონენი, რომლის ადგილებში კახეთის რკინის გზა გაივლის.

✦ **ქალაქის სამშენებლო განყოფილება** გეგმის შედგენას შეუდგა ქალაქის სასკოლო შენობების ასაგებათ. ამასთანავე აღრიცხვასაც ადგენს. შენობის აგებას მოხმარდება ა. მატინოვის მიერ შემოწირული ფული.

✦ **ქალაქის ლომბარდი**. 1908 წლის ქალაქის ლომბარდში რევიზიის მოხდენის შემდეგ, სარევიზიო კომისიამ წინადადება მისცა ქალაქის საბჭოს, რომ ლომბარდის მოგება მის ძირითად თანხას ემატებოდესო. ამის შესახებ საბჭომ ქალაქის გამგეობას მოხსენების შედგენა მიანდო. ქალაქის გამგეობამ მოხსენებაში ის აზრი გამოთქვა, რომ ლომბარდის მოგება უწინარეს ყოვლისა ლომბარდის საჭიროებისათვის აღებულ 200,000 მ. ვალის პროცენტების გადასახდელათ უნდა იხარჯებოდეს და გარდა ამისა საქველმოქმედო დაწესებულებების დახმარებას თუ დაარსებას უნდა ხმარდებოდესო. მოგების დარჩენილი ნაწილი საბჭოს დადგენილებათა მიხედვით დაიხარჯება.

✦ **ქართული ენის მასწავლებლათ** პირველ სავაკო გიმნაზიაში ბ. მ. ცომაკურიძე მიუწვევიათ.

✦ **ელექტრონის სადგური**. ახლო მომავალში თფილისში პოლიტეხნიკუმის უნივერსიტეტის ცნობილ ელექტროტეხნიკს, პროფესორს ნ. არტელიევს, რომელიც თფილისის ელექტრონის სადგურს მოაწყობს.

✦ **ბეითალთა საზოგადოება**. კვირაის სამედიცინო საზოგადოებაში დღეს, 13 ნოემბერს, შესდგება მორიგი სხდომა ბეითალთა საზოგადოებისა. საბეითალი ლანგე მოხსენებას წაიკითხავს საყასპოების შესახებ; აირჩევენ გამგეობას და გამგეობის მდივანს და სხვ...

✦ **ლექცია**. რეალურ გემნაზიის მასწავლებელი ა. იაროშენკო ხსენებულ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოთ 14 ნოემბერს ლექციას წაიკითხავს „ჰაერში ფრენაზე“

✦ **პ. გოთუას პიესა**. ქართველ რეჟისორებმა გადაწყვიტეს: პ. გოთუას პიესის „პარტიის კაცის“ გენერალურ რეპეტიციაზე დასასწრებლათ შაბათს, რამდენიმე ინტელიგენტი მოიწვიონ. პიესა კვირას დაიდგმება.

✦ **პოლიციმეისტერმა განკარგულება** მოახდინა, რათა აცნობონ პოლიციელებს, რომ გუბერნატორმა შესცვალა თავის დადგენილება, ე. ი. მეეტლებს ნება ეძლევათ გადახურული ეტლები ატარონ.

✦ **სახალხო სცენის-მოყვარეთა დასის დადგენილება**. თერთმეტ ნოემბერს შესდგა სცენის-მოყვარეთა მეოთხე კრება. კრებამ გაარჩია წინა კრებაზე წესრიგში შეტანილი კითხვა, თუ რა აზრი საა ის სახ. უნივერსიტეტისა და ახალი წრის გამგეობათა შორის არსებულ კონფლიქტის შესახებ. კენჭი უყარეს ორ წინადადადებას: 1. განვაგრძობთ რა მუშაობას ძველ სექციასთან, წინადადებას ვაძლევთ სახ. უნივერსიტეტისა და ახალი წრის გამგეობებს, რაც შეიძლება დროზე მოაგვარონ საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ, როგორც რეალური ძალა სახალხო თეატრისა, იძულებული ვიქნებით დავიწყოთ სრულიათ დამოუკიდებელი მოქმედება. 2. ვშორდებით რა სახ. უნივერსიტეტთან არსებულ ძველ სექციას, წინადადებას ვაძლევთ ჩვენი წარმომადგენელის საშვალებით ახალი წრის მომავალ საზოგადო კრებას, რომ შემდეგი წარმოდგენა დიდგას ახალი წრის ფირმით, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი წრიდანაც გავდივართ და ვიწყებთ დამოუკიდებელ მოქმედებას.

კრებამ მიიღო მეორე წინადადება თერთმეტის ხმით სამის წინააღმდეგ, ორმა თავი შეიკავა.

✦ **სამართალში მისცეს** ქალაქ ელისავეტპოლის ყოფილი პოლიციმეისტერი ლ. ჩოგლოკოვი სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენისათვის.

✦ **თფილისის გუბერნატორმა** ნება დართო ქალაქის გამგეობას, ისესხოს ქალაქის სახელდახელო თანხიდან ფული, კიროჩნი ქუჩის გასაფართოვებელ მიწის საყიდლათ.

---

მუშა. ცხადია რომ ბედნიერება—სიმდიდრეშია. მარა ეს სიმდიდრე კი ძალიან ცოტაა. ეხლა მდიდარია მხოლოდ უმცირესობა. ასე რომ მთელი სიმდიდრე რომ გაანაწილო თანასწორათ, ალარ იქნება არც ერთი მდიდარი და დამყარდება სიღარიბის საერთო თანასწორობა. საფრანგეთის ნაციონალური შემოსავალი რომ განაწილდეს თანასწორათ, თვითეულ ფრანგს შეხვდება—20 კ. ეს კი ნამდვილი სიღატაკეა.

რატომ არის ეს ასე?—კითხულობს ის. ამის მიზეზია მისი აზრით, თანამედროვე წეს-წყობილების უვარგისობა. ეს წყობილებაა მიზეზი, რომ საზოგადო სიმდიდრე ასე ნაკლებია. ეს წყობილება ერთი მხრით, ნაწილს საზოგადოებრივი ძალებისას ვერ იყენებს, ხოლო მეორე ნაწილს—პირდაპირ ანადგურებს. თანამედროვე საზოგადოება შესდგება უმთავრესათ ისეთი ელემენტებისაგან, რომლებიც არავითარ საზოგადო სიმდიდრეს არ ქმნიან, რის გამო ბევრი სამუშაო ძალა ეკარგება საზოგადოებას. ასეთ პარაზიტებათ ის თვლის სამხედრო პირებს, მოხელეებს და მოსამსახურეებს, $^{9}/_{10}$ ვაჭრებისა და მათ მოსამსახურეებს, უსაქმურებს, ქალაქის ქალებს, ბავშვებს, ავათ-მყოფებს, ტუსაღებს (ამათ იძულებით უსაქმურებს ეძახის) მუშების დიდ ნაწილს, რომლებიც უვარგის საქონელს ქმნიან, დამნაშავეებს, ქურდებს, ყაჩაღებს, მოთამაშეს, სხეულით მოვაჭრე ქალებს, მათხოვრებს და სხვებს, რომლებისათვის არსებობს პოლიცია და ადმინისტრაცია,

---

ნოების მოსპობამ გამოიწვია ხელ-ახალი აჯანყება, ცნობილი ივნისის დღეები, რომელიც უმაგალითო სიმხეცით დაამარცხა და სისხლში ჩაახრჩო საფრანგეთის მთავრობამ.

როგორც ვთქვით ფურიე მთელ ბოროტებას არსებულ წყობილების უვარგისობაში ხედავდა და ენერგიულათ მოითხოვდა მის შეცვლას ახალი ფორმით. ახალი წესწყობილება უნდა შემდგარიყო ცალ-ცალკე კომუნებისაგან. კომუნა მისი აზრით ყველაზე უფრო მეტი საჭირო სოციალური ელემენტია თანამედროვე საზოგადოებაში. მაგრამ რაკი ის არ არის მოწყობილი, ამიტომ საზოგადოებრივი მეურნეობაც ასეთ ცუდ პირობებშია. კომუნა—ეს მომავალი წყობილების ქვაკუთხედია. ის ქმნის სიმდიდრეს და ამიტომ ურჩევს ფურიე, სოციალ რეფორმატორებს, უმთავრესი ყურადღება კომუნის დაარსებას მიაქციონ და არა უშინაარსო პოლიტიკურ რევოლიუციებს, რომლის მიზანია შესცვალოს მართვა-გამგეობის ფორმა და იმავე დროს ხელუხლებლათ ტოვებს სოციალურ-ურთიერთობას. ყოველივე საზოგადოებრივი ორგანიზაცია უნდა ქმნიდეს სიმდიდრეს, რადგან სიმდიდრე—ეს მატერიალური დასაბამია პროგრესის. სოციალური კითხვა შეიცავს ისეთ კომუნის ორგანიზაციას, რომელიც ქმნის რაც შეიძლება მეტ სიმდიდრეს. ამისთვის საჭიროა მოვახერხოთ კომუნაში ჰარმონიულათ შეერთება სამი ფაქტორის: მიწის, შრომის და კაპიტალის.

**ოფშტეინი.**

(შემდეგი იქნება)

✦ **სკოლები.** მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებამ დაადგინა, გახსნას სკოლები თიანეთის მაზრის სოფლებში, ბარისახაში და მაღაროსკარში.

✦ **სამეურნეო განყოფილებები სახალხო სკოლებში.** სამოსწავლო ოლქის უმაღლესს მთავრობამ თხოვნით მიმართა თფილისის საარბრეშუმო სადგურის გამგეს, შეატყობინოს, თუ რამდენი ელირება სახალხო სკოლებში მეფუტკრეობის და მეაბრეშუმეობის განყოფილების დაარსებაო.

✦ **სკოლის დაარსება.** სასულიერო სამოსწავლო საბჭოს დაუდგენია გახსნას ს. პატარძეულში სამრევლო სკოლა.

✦ **იურისტთა კრება.** 20 ნოემბერს მოხდება კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა წლიური კრება; სადაც გაარჩევენ საზოგადოების წლიურ ანგარიშს და, სხვათა შორის, იტალიელ შესანიშნავ მეცნიერის ლომბროზოს გადაცვალების გამო გ. გვაზავა, წაიკითხავს მოხსენებას: ლომბროზოს თეორია და სამსახური სისხლის სამართლის საქმეში“.

✦ **მუშების ხელახლათ მიღება.** უსახელო საზოგადოების მთავარ დირექტორმა ხელ-ახლათ მიიღო სამსახურში 39 ამას წინათ დათხოვნილი მუშა.

✦ **ლექცია.** სახალხო სახლში, კვირას, ბ. სპილიოტი ლექციას წაიკითხავს შემდეგ თემაზე: „არეულობა რუსეთში“ (1584—1614 წწ.).

✦ **სიეზდზე გასაგზავნათ** ქალაქის გამგეობამ უფროსი ბეითალი ექიმი ლანგი აირჩია.

✦ **ახალი სამედიცინო ჟურნალი.** ახლო მომავალში თფილისში გამოვა სამედიცინო სომხური ჟურნალი. ამ საქმისათვის სომეხ ექიმთა საზოგადოებამ კომისია აირჩია.

✦ **პედაგოგიური კურსები.** 1910 წ. პირველ სექტემბრიდან ელისავეტოპოლის სამოქალაქო სასწავლებელთან არსდება პედაგოგიური კურსები. 2 წლის სასაკო პროგრამით. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შუამდგომლობით აქაურ კავკასიის საერობო თანხიდან ამ საქმისათვის 5,500 მ-თია გადადებული.

✦ **გადასახლებულის შეპყრობა.** 11 ნოემბერს ზოდიაკმ შეიპყრო ადმინისტრატიულ წესით გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული თფილისის მცხოვრები კ. მეზგრიშვილი, რომელსაც სამართალში აძლევენ.

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 10 ნოემბერს, ჩხრეკის დროს ზოდიაკმ დაპატიმრა 81 უპასპორტო. მათი ვინაობა ირკვევა.

✦ **სალდათის შეპყრობა.** 10 ნოემბერს ზოდიაკმ შეიპყრო გამოქცეული სალდათი თფილისის მოქალაქე გ. დანელია, რომელიც ორი წელიწადია სალდათობას ემალება.

✦ **სახალხო სახლი.** დღეს, სახალხო სახლში იწყებს მოქმედებას მუსიკალური საზოგადოება, რომელიც ჩაიგოსკის სახსოვრათ მართავს კონცერტს.

---

**შეცდომის გასწორება.** იკას სვირელის სპასუხო წერილში შემდეგი შეცდომები შეგვპარა: მზათ გარ ყოველთვის დაგმობა, უნდა იყოს: მზათ გარ ყოველთვე **დაგმობა**. **ცით** იოცოთ. საზოგადოებრივ ბრძოლას, უნდა იყოს: საზოგადოებრივ **ბორბალს**. მე გელოდები ბ. სვირელის მსჯელობას, უნდა იყოს: მე გელოდები ბ. სვირელის **მსაჯულებს**.

## ფინლიანდიის სეიმის უკანასკნელი წამები.

5 ნოემბერს, ღამის სხდომაზე, სეიმმა მიიღო კომისიის შემუშავებული ძირითადი კანონები ებრაელთა კითხვის შესახებ. 112 ხმის უმეტესობით 43 წინააღმდეგ სეიმმა დაადგინა, რომ ებრაელებს ისეთივე უფლება აქვთ იცხოვრონ ფინლიანდიის საზღვრებში, როგორც ყველა სხვა უცხოელებს. იმ ებრაელებს კი, რომლებიც ფინლიანდიაში დაიბადენ და ცხოვრობდენ აქ მანამდე, სანამ სრულწლოვანი გახდებოდენ და აგრეთვე იმათაც, რომლებიც სათანადო ნებართვის თანახმათ დიდი ხანია ცხოვრობენ ფინლიანდიაში, მიენიჭოს უფლება მიიღოს ფინლიანდიის მოქალაქეობა. სეიმში შეტანილ უნდა იქნეს განსაკუთრებული კანონ-პროექტი, სადაც დაწვრილებით უნდა იქნას განსაზღვრული ებრაელების მიერ ფინლიანდიის მოქალაქეობის მიღების შესახებ ყველა ის პირობები, რომლებიც გამომდინარეობს სეიმის დადგენილებისგან. დეპუტატები, განსაკუთრებით სოციალისტები და კონსტიტუციონალისტები გულწრფელ სიამოვნებას გამოსთქვამენ, რომ სეიმმა როგორც იქნა გადასწყვიტა კითხვა, რომლის გადაწყვეტა ასე გაჭიანურდა სტაროფინების და აგრარიების ცრუმორწმუნეობის წყალობით. დადგენილება ებრაელების შესახებ მიღებულ იქნა ღამის ორ საათზე. ეს იყო დათხოვნილი სეიმის უკანასკნელი სერიოზული დადგენილება.

სეიმის დათხოვის ცნობა თვით გენერალ ბექმანმა მოიტანა დილით ადრე. სეიმის დარბაზს ჯერ კიდევ 5 საათიდან არა ჩვეულებრივი სიცოცხლე დაეტყო. 12 საათზე სენატიდან ტელეფონით ცნობა მიიღეს სეიმის დათხოვის შესახებ. სხდომა გაიხსნა. ქანდარები ხალხით გაჰედილია. დაიწყო წვრიმალნი კითხვების განხილვა, მარა ყველაფრიდან სჩანს, რომ სეიმის დღეები დათვლილია. 2 საათზე სენატის წარმომადგენელნი გამოცხადდენ. პრეზიდიუმი და სეიმი, გარდა სოციალისტებისა, ფეხზე წამოდგენ. სენატის წარმომადგენელმა წაიკითხა სეიმის დათხოვის ბრძანება. ბრძანების წაკითხვის შემდეგ სხდომა რამდენიმე წუთს შესწყდა. სხდომის გახსნის შემდეგ 2 ს. 30 წუთზე პრეზიდენტმა სეიმი დახურულათ გამოაცხადა. სეიმის დათხოვას დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, რადგან მას წინდაწინ მოელოდენ. კულუარებს უფრო ის აინტერესებს თუ როგორი იქნება მომავალი საარჩევნო კამპანია. დეპუტატების უმეტესობა იმ აზრისანი არიან, რომ მომავალი არჩევნები განსაკუთრებულ ხასიათის იქნებაო. სტაროფინების ხელახალი დამარცხება ეკვს გარეშეა. ამას თვითონ სტარაფინებიც კარგათ გრძნობენ.

— გაზეთები იუწყებიან, რომ გელსინფორქსში ამ დღეებში რამდენიმე რაღაც საეკვო დეპეშები მიიღეს. ტერიოკის მუშათა საზოგადოებამ პარიზიდან ფრანგულ ენაზე დეპეშა მიიღო, რომლითაც აუწყებენ ხსენებულ საზოგადოებას, რომ მათ ეგზავნება პარიზიდან ერთი მილიონი მარკა პოლიტიკური მიზნისთვის.

მეორე დეპეშა ვიღაცამ ტერიოკიდან გარეშე მინისტრს გაუგზავნა. დეპეშაში ნათქვამია: „გამოემგზავრეთ რაც შეიძლება ჩქარა. საჭირო საქმეზე უნდა ვიმაცადინოთ“.

ამ უკანასკნელ დეპეშის შესახებ ფინლიანდიის მთავრობას მოწერილობა მოუვიდა გამოძიება მოახდინოს. („რ. ს.“)

## ნაძალადევი.

ნაძალადევის პატარა ქოხმახებთან ერთათ შეძლებულმა ხალხმაც წარაყუდა თავიანთი დიდრონი სახლები. ამ სახლების ქვედა სართულში გაიმართა ღვინის სარდაფები... მუშა ხალხი, როგორც ბუზი თაფლს, ისე მიეხვევა ამ სარდაფებს. გაჩაღდა არღანი და ქეიფი. ცოტა ხნის განმავლობაში ნაძალადეველებმა დააარსეს სასწავლებელი, ააგეს სახალხო თეატრი, სადაც ხშირათ იმართებოდა წარმოდგენები, დაიარსეს წიგნთ-საცავ-სამკითხველოები და სხვა. ეკკლესიის შენობის აგების შემდეგ თეატრის შენობა დაანგრიეს და დღემდის ველარ მოუხერხებიათ მისი ვანახლება.

ნაძალადევიდან სახალხო სახლში სიარული მუშა ხალხს ძალიან უძნელდება სიშორის გამო. სანამ ავჭალის აუდიტორიაში იმართებოდა წარმოდგენები, მუშა ხალხი ხალისით დადიოდა, ეხლა კი რაკი იქ აღარ იმაროება, სახალხო სახლში ეძნელებათ ბევრს სიარული სიშორის გამო და თეატრის მაგიერ სარდაფებს მოედვენ და ღვინოს დაეწაფენ. საჭიროა ქართულმა სექციამ და დრამატიულმა საზოგადოებამ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და საზოგადოების დახმარებით შეეცადოს ნაძალადევში თეატრის შენობის აგებას. მას დახმარება უნდა გაუწიოს ქალაქის გამგეობამაც. უნდა აშენდეს ქალაქისა და ხალხის დახმარებით თეატრი და სცენის მოყვარეთა დახმარებით ყოველ კვირაობით იმართოს წარმოდგენები. სადაც ქართული სექცია ვერ გაწვდება წარმოდგენების მართვას, იქ დრამატიულმა უნდა მოაგვაროს წარმოდგენების საქმე და როცა მუშები დაინახავენ რომ დრ. საზოგადოება მათთვისაც ზრუნავს, ჩაეწერებიან საზოგადოების წევრებათ და ყოველ საშუალებას იხმარებენ საზოგადოების გასაძლიერებლათ და ასაყვავებლათ. მაშინ საზოგადოებაც მტკიცე საფუძველზე იქნება და მით თავის მიზანსაც მიაღწევს.

**ალსან ფანაშვილი.**

## წერილი ეორობიოვიდან

(ირკუტსკის გუბ.)

ს. ეორობიოვი სძევს კირენსკის მაზრის დასავლეთ ნაწილში, მდ. ანგარას ნაპირზე ირკუტსკის გუბერნიაში. მცხოვრებთა რიცხვი არ აღემატება 400 სულს. მათი ცხოვრების უმთავრეს სადსარს შეადგენს: ბურის მოყვანა, თევზაობა და ნადირობა; ბურის მოსავალი კასუდ წლებთან შედარებით წელს კარგი იყო. თევზაობასაც არა უშავდა. მდინარე ანგარაში იჭერენ სხვათა შორის წითელ თევზსაც. მთელმა ვოლოსტმა 1000 ფუთამდე წითელი თევზი დაიჭირა ამ შემოდგომაზე. იყიდებოდა ფუთი 4—5 მან. ყიდულობდენ ადგილობრივი ჩარჩები; ეს უკანასკნელნი კი ირკუტსკში და ენისეისკში აგზავნიან. როგორც ჩანს, აქაც ჩარჩები ტყავს აძრობს გლეხებს. თითქმის მთელი სოფელი მათი ვალდებული არის. ჩარჩებს მოაქვთ მახლობელ ქალაქებიდან დამზადი, უგარგისი სქონელი და ერთი ორათ, ერთი სამათ აძლევენ გლეხებს ნისიათ. გლეხებიც იძულებულნი არიან იდგან რასაც ჩარჩი ანისიაგებს, ჩარჩი ხშირათ ნისიაში ფულს არ დებულობს, მას თევზი და ბეწვეული ტყავი უფრო აინტერესებს.

სწავლა-განათლების საქმე გერ არის კარგად დაყენებული. არის ერთ კლასიანი სკოლა. კასუდ წელს მხოლოდ 10 ბავშვი იყო სკოლაში წელს კი არც ერთი არ არის. ამის მიზეზი ისაა, რომ გლეხები უკმაყოფილონი არიან მასწავლებლის. „სამი ზამთარი ბავშვი სკოლაში მყავს და ან-ბანი კი არ იცისო“. ამის გამო სკოლას „ბოიკოტს“ უცხადებენ. ასევე იქცევიან ს. შამანოვკას გლეხები (შამანოვკა კარაშ. ვოლოსტშია) იქაც „ბოიკოტს“ უცხადებენ სკოლას მასწავლებლის უგარგისობის გამო. აქ ხშირი მოგვეპასა სრულიად მოუმზადებელი მასწავლებელი. ს. შამანოვკის მასწავლებელს ერთი ამბ. დრამატიკას და არითმეტიკას ასწავლის. კარაბოიკაში წინათ კარგი მასწავლებელი ყოფილა, გლეხები კარგათ იგონებენ მას, მარა ადმინისტრაციას, როგორც „არა კეთილ სიმედო ბერი“ გადუსხლებია. გლეხებს „ბრიგოგორით“ უთხოვნიათ კიდეც მისი უკან დაბრუნება, მარა ადმინისტრაციას მათი თხოვნა უყურადღებოთ დუტოგებია. ამ მიზეზების გამო გლეხები ბავშვებს კერძო მასწავლებლებს (ბოლიტ. გადგ.) აძლევენ. მახლობელ სოფლებში სწავლის წყურვილი თან და თან იდვიძებს: სკოლების აშენებას ახერებენ და ნებართვის ადუბისათვის მეცადინეობენ.

ჩვენს სოფელში, 50-მდე ბოლიტიკური გადმოსახლებულია. ყველა სასმართლოს დადგენილებით არის გადმოსახლებული და მთავრობა „დახმარებას“ არ უწევს.

ზაფხულში, დიდი გაჭირვებით, შეგიძლია რამე სამუშაო იშოვნო. ზაფხულში ერთი ჯგუფი (15 კაცმი) ტყეში თხილის (кедровый орѣхъ) მოსაკრეფათ წავიდა. შემოაცდათ „კაი დროის“ შენკერი ტანისამოსი და ძღვნის სარჯი გასწორეს. ჩარჩებს აქაც არ სძინავდათ და მათი ნაშრომი ხელში ჩაიგდეს. მეორე ჯგუფი გლეხებმა დაიქირავეს მომხვნელ-მომკელებათ, დღეში 30—35 კ. თვეურათ კი 6—7 მ. მუშობის პირობები პირდაპირ საუტანელია. ბევრ ამხანაგს წასვლია გული მუშობის დროს და წაქცეულა. ზაფხულობით აქ დღე 20 საათია. (მთელი დრო, სადილის ნახევარი საათ. გამოკლებით უნდა იმუშაო) სიცხე 38—39 გრად. ადის. ეს კიდევ არაფერი. უბედურება იმაშია, რომ აქ ძლიერ მრავალთაა სხვადასხვა ჯურის მწერები. მათი შიშით დღე პირუტყვი ვერ გამოდის გარეთ. არა ერთი ცოფიანი შემთხვევა, რომ მწერებს დაუტოგებია პირუტყვი სისხლისაგან პირუტყვს დამე უშვებენ სახლახოთ ისიც „სმოდით“ შედებიდს. დღე ოთახიდან გარეთ ვერ გამოხვალ თუ პირზე ბადე არა გაქვს მიფარებული.

ასეთ პირობებში უნდა იმუშაო დღეში 30—35 კ., გლეხის მუშლუგუნების ქვეშ. ასეთი სამუშაო ძნელი საშოვნელია. ზამთარში სამუშაოს შოვნაზე დაპარაკიც მეტია. შარშან ზოგიერთმა ამხ. მასწავლებლობას მოკიდა ხელი, ამის გამო გარაბ. მასწავლებელმა შეგრიბა მთელი სოფელი, წარმოსთქვა „რეჩი“ და დაემუქრა გლეხებს, რომ ყველას სამართალში მიგცემ თუ პოლიტიკურებს ბავშვები მაბარეთო. რა თქმა უნდა მასთან შეთვმა ურიადნიკმა ამას კვერი დაუკრა. ამ მუქარამ ვერ გასქრა, გლეხები მაინც არ უყურებენ მტრულის თვალით პოლიტიკურებს. ზოგიერთებთან კარგი კავშირიც აქვთ. ამ ზამთარშიაც ექნება 5 - 6 კაცს გაკვეთილი. დანარჩენებს კი დიდი გაჭირვება მოელის.

კირენსკის მაზრის სხვა ვოლოსტებთან შედარებით აქ ცხოვრება ასეთია. ბური შავი (თეთრს ვერ იშოვნი) 2 ნახ. კაპ., კვერცხი 1 კ., რძე ბოთლი 10 კ., ხორცი 7 ნახ. კ. მარა რით უნდა იყიდო თუკინდ ასე ასეთი სჭონელი.

ჟურნალ-გაზეთებს მოკლებული არიან გადმოსახლებულნი. მოდის მხოლოდ ქართული გაზ. „მომავალი“ მეტი არც რუსული და არც ქართული არ მოდის. ა. ღ.

## ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

**პარლამენტის კრიზისი ავსტრიაში**

ჩვენ მოყვანილი გვქონდა ამას წინეთ ცნობები, თუ როგორ კრიზისს განიცდის ნაციონალური ბრძოლის გამო ავსტრიის პარლამენტი. წერილში უმთავრესათ ვეხებოდით ნომცების და ჩეხების ურთი-ერთ დამოკიდებულებას. ვგონებთ, მეტი არ იქნება გავაცნოთ მკითხველს პოლონელების დამოკიდებულებაც ნომცებთან. ამ დღეებში პოლონელთა კლუბში პოლონელთა სახალხო პარტიის ბელადმა სტაპინსკიმ სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით სიტყვა წარმოსთქვა, რომელსაც პარლამენტის სხვადასხვა ჯგუფები დიდ მნიშვნელობას აძლევენ. მან სთქვა, რომ ყოველივე ღონე უნდა ვიხმაროთ, რაიცა ეხლანდელი სამინისტრო გადაყენებულ იქნასო. პოლონელებმა გარკვევით უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ პანგერმანიზმს ხელს ვერ შევუწყობთ, განსაკუთრებით იმ დროს, როცა გალიციაში ნომცების საოსტატო სემინარიას აარსებენ; ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ ეხლანდელ კაბინეტს, ვინაიდან მასში არ შედიან ჩეხების და სხვა სლავიანების წარმომადგენელნი, თუ პარლამენტის პოლონელთა კოლოს უმეტესობა ასე არ ფიქრობს, ჩვენ ყოველივე მიზნის შესაფერ საშუალებას მივმართავთ და სხვ. სტაპინსკის განცხადებას, ეკვი არაა, მოყვება ის, რომ „კოლოს“ ნაწილი სამინისტროს გადაყენებაში სლავიანთა კავშირს შეუერთდება. „კოლოს“ ახალი ტაქტიკა ამ ჟამათ ნომცთა პარტიების ყურადღებასაც იქცევს, ვინაიდან მთელი პოლონეთის „კოლო“ დღემდე გამოდიოდა როგორც მთელი ჯგუფი, რომელიც სლავიანთა კავშირს არ ემხრობოდა.

**საფრანგეთის ბიუჯეტი.**

ახალი გადასახადების საკითხმა საფრანგეთშიაც დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ამას წინეთ ფინანსთა მინისტრმა განიზრახა შეეტანა ბიუჯეტში ახალი გადასახადები; მას მხარი დაუჭირა, რასაკვირველია, მინისტრთა კაბინეტმა. ზოგიერთმა დეპუტატებმა სასტიკათ გაიხლაშქრეს ახალი გადასახადების წინააღმდეგ. რესპუბლიკანური გაზეთები მხარს უჭერენ ახალი გადასახადების შემოღებას, მინისტრთა კაბინეტსაც გადაუწყვეტია, თუ ვინიცობაა, წინადადებას შეიტანენ პარლამენტში გადასახადების უკამათოთ უარყოფის შესახებ, კითხვა დასვას კაბინეტისადმი ნდობის გამოცხადების შესახებ. როგორც ყოფილი მინისტრი ლანესსანი ერთ-ერთ გაზეთში სწერს, საფრანგეთში ასეთი მდგომარეობაა: შამპახის და ბურგონის ამრჩეველთ არ სურთ გადასახადები „იარლიკებზე“, რომელიც მათ გასაყიდ ღვინის ბუნებრივობის ნიშნათ ექნება, ჩრდილოელებს არ სურთ გადასახადი მაგარ სასმელებზე —ყველა ამის შედეგია დეპუტატების მუქარა მთავრობისადმი, რათა ახალი გადასახადები არ დაკანონდეს და ამიტომ რაღა გასაკვირალია, რომ ბიუჯეტის დამტკიცებაც ფერხდებოდესო.

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** 8 ნოემბერს ქალაქის თეატრში ქუთ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნა ალ. ყაზბეგის ცნობილი პიესა „ქვეშევრდომნი“ (კონსტანტინე ბატონიშვილი), ისტორიული დრამა 5 მოქ. და ექვსს სურათად. წარმოდგენამ ჩვეულებრივად მწყობრად და მოხდენილად ჩაიარა. სამშობლოს მოდალატის, მამისა და ძმის მკვლელის, ბოროტების ჩამდენი ადამიანის (კონსტ. ბატონიშვილის), მისი სულიერი ტანჯვა, სინდისის ქენჯნა, —ტრაგიკულად დაგვისტა ვალ. გუნიამ. სამშობლოს გულისათვის ქეთევან წამებულის როლი ჩვენებრივათ ლაზათით, ეფექტით, ჩაატარა ნ. დავითაშვილმა. აგრეთვე მოხდენილათ ითამაშა შალვა დადიანის ვაჟი ლაშა, მრისხანე შახ-აბასის როლი ბ. ბაქრაძემ. ტიხიური ხვესური იყო გორგასლის პრესტიჟის როლში. არა უშავდა ბ. მუკუსიძესაც (ქაიხოსროს როლში). ზოგიერთ არტისტებს როლების უცოდინარობა ეტყობოდა. სხვოგადოება წარმოდგენას ბლომათ დაესწრო.

## წერილები რედაქციის მიმართ

**ბ. ბ. იკას და მეგობარს.** ჩემის მხრით მედიატორეთ გვისახელებ ბ. ბეტრე ბაქიძეს ძე გედეონიშვილს. ერთიც თქვენ დასხსნელეთ. მათ ამოირჩიონ თავმჯდომარე და ამ საქმის მიგვანდონ საქმის გარჩევა.

**ს. ტოროშელიძე.**

---

ტოდების (გურია) მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს დაესრულათ უფასო სამკითხველო, თხოვნა გაუგზავნეთ წერაკითხვის გამავრცელებელ სზოგადოებას, რომლის ბასუხისმგებლობა მთავრობასთან იყისრა ადგილობრივმა მდგელმა გერმანე მეგრელიშვილმა. წერაკითხვის საზოგადოებას, როგორც გაზ. „მომავალი“ № 54 გაუფრთხილებს, უკვე რადგეურვს შუამდგომლობა მთავრობასთან. განაც სამკითხველოს დაარსებისთვის აუცილებელთ საჭირო დახმარება. ამიტომ მივმართავთ უველა რედაქციებს, წიგნების გამომცემელ ამხანაგობებს და დაინტერესებულ პირებს ადმოგვიჩინონ უფასო გელგვარი დახმარება როგორც წიგნებით ისე ფულითაც. შემოწირულება მიიღება. м. Чохатаури (кут. губ.) священнику Герману Мегрелишвили для Толебской библіотеки.

**ნიკიფორე დ. მეგრელიშვილი**

---

ბ-ნო რედაქტორო! უკანასკნელად გთხოვთ, მისცეთ ადგილი ამ წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთში:

რადგან ჩვენი წინა წერილი, რომელშიდაც ბ. იაქეს ჩვენგან საკმარისად განმარტებული ჰქონდა ჩვენი შეხედულება სამედიატორო სასამართლოზე და მისს მოქმედებაზე, სავსებით არ დაისტამბა, ამისათვის კიდევ გაუმეორებდი ბ. იაქეს, რომ სამედიატორო სასამართლო საეგზამენაციო კომისია არ არის; ამასთან მის ჟინიანობაზედაც დავსთანხმდებოდით, მისგან საკმარის გარანტიას პირობის შეცვლისას რომ არ ვეხედავდეთ. ბ. იაქე! ჩემი მითითება ბ. მოსამართლეების აღმორჩევაზე თუ საჭირო არ არის თქვენთვის—თქვენი მითითებაც რატომ უნდა იყოს სავალდებულო ჩვენთვის?!! რადგან თქვენის აზრით თქვენგან ნათითები სასამართლოს შემადგენლობა ემსახურება ჰეშმარიტებას და ჩვენის ნდობით აღჭურვილ პირების „სამართლიანობაში“ წინდაწინვე ეჭვი შეგაქვთ, რაც ჩვენ ახალ შეურაცხყოფად მიგვაჩნია მათთვის —ამისათვის ამის შემდეგ თქვენთან საამხანაგო სამართალზე მსჯელობა უადგილოდ მიმაჩნია. დღეიდან ვსპობ თქვენთან ყოველივე კამათს და მივმართავ ოფიციალურ სასამართლოს, სადაც იმედია გამობრძანდებით.

**ექ. ილია ეგნ. ჯაში.**

---

რედაქტორ გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

---

მატარებლების მიძოსვლა
**15 ოქტომბრიდან 1909 წ.**
საათები აღნიშნულია თფილისის დროზე.

**თფილისიდან გადის**

**ბაქოსკენ:** საფოსტო № 4, 11 ს. 40 წ. საღ., ს მგზავრო № 6, 8 ს. 11 წ., დილით სამგზავრო № 12, 10 ს. 11 წ. საღ., შერეული მე-IV კლასის ვაგონებით № 106, 7 ს. 3 წ. დილით.

**ბათუმისკენ:** საფოსტო № 3, 9 ს. 42 წ. დილით; სამგზავრო № 5, 1 ს. ღამით; სამგზავრო № 7, 8 ს. 10 წ. საღამოს; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით, 4 ს. 28 წ. დილით.

**თფილისში მოდის**

**ბაქოდან:** საფოსტო № 3, 8 ს. 42 წ. დილ., სამგზასრო № 5, 12 ს. 11 წ. ღამით; სამგზავრო № 11, 10 ს. 47 წ. დილ.; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 107, 3 ს. 16 წ. დღით.

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4, 10 ს. 40 წ. საღამოს; სამგზავრო № 6, 7 ს. 21 წ. დილით; სამგზავრო № 8, 12 ს. 17 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 106, 5 ს. 53 წ. დილით.

**თფილისიდან გადის**

**ბიხაილოვოში:** სამგზავრო-საქონლის № 9, 3ს. 23 წ. დღით.

**თფილისში მოდის**

**ბიხაილოვიდან:** სამგზავრო-საქონლის № 10, 8 ს. 23 წ. დილით.

**ყარსის გზაზე**

**თფილისიდან გადის:** საფოსტო № 74/75 ჯულფაში, 1 ს. 37 წ. ღამით; სამგზ.-საქონ. № 72/79 ერევანში, 4 ს. 20 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 10 109, ალექსანდროპოლში 5 ს. 8 წ. დღით.

**თფილისში მოდის:** საფოსტო № 72/73 ჯულფიდან 6 ს. 19 წ. დილით; სამგზავრო-საქონლის № 80/81 ერევნიდან 6 ს. 44 წ. ს ღ.; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 110/111 ალექსანდროპოლიდან 4 ს. 48 წ. ღამით.